საქართველოს სამოქალაქო
საზოგადოების განვითარების ასოციაცია

GEORGIAN CIVIL SOCIETY DEVELOPMENT
ASSOCIATION

მისამართი: ქ. თეთრიწყარო,
მუხხელიშვილის 11
ტელეფონი: 899 25 70 40
ელ.-ფოსტა: acsdg@caucasus.net

№ 01/02-43
13 ოქტომბერი, 2011 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს,
ბატონ რამაზ ნიკოლაიშვილს

ბატონო რამაზ,

ამა წლის 29 სექტემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა საინფორმაციო გადაცემა „კურიერის"(15 სთ) სიუჟეტით გაავრცელა ინფორმაცია თეთრიწყაროში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შესახებ.[1] ამავე სიუჟეტით გახდა ცნობილი, რომ მთლიანად იცვლება ქ. თეთრიწყაროს შიდა ქსელი და გვაქვს იმისი გარანტია, რომ უკვე მარტში თეთრიწყაროელებს ყოველდღიური წყალმომარაგება გვექნება, რაც, იმედია, ქ. თეთრიწყაროში მოსახლეობისთვის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის გარანტიაცაა.

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. რომელი კომპანია გამოვლინდა გამარჯვებულად მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2011 წლის 11 მაისს გამოცხადებულ ტენდერში თეთრიწყაროს წყალსადენის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებაზე (საიდენტიფიკაციო ნომერი **EIB/W1MP/W/ICB/04);**
2. გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

გულიკო შოშიტაშვილი
თავმჯდომარე

[1] http://www.youtube.com/watch?v=Je9FEXS80cw&feature=player_embedded#!